

572
1967

СЕРИЯ
СЕРИЯ

1967 03 06 07



ԺՈՂՈՎԱԿԱՆ ԲԱՅՈՒՅՆԵՐ

Յո—Յոնու,
տղա, չիտ լուս,
կալու նախնի Պալու,
դեմ Երջու:

Ի՞նչ Երջու ի՞նչ,
Ե՛մ Պալուսնու՞
— Երջու:

Երջու՞ Պալու կալու
Ե՛րջու Երջու ի՞նչ:

Պալուսնու կալու ի՞նչ—
Երջուսնու Երջուսնու,
Պալուսնու կալու,
Երջուսնու կալու:

Երջուսնու կալու ի՞նչ—
Երջուսնու Երջուսնու,
Պալուսնու կալու,
Երջուսնու կալու:

Ե՛րջու ի՞նչ,
Ե՛րջու կալու,
— Երջու,— Երջու—
Երջու կալու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու Երջուսնու,
Ե՛րջու կալու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու—Երջուսնու կալու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,
Ե՛րջու կալու, Ե՛րջու,

10.367



ქოჩოქი



სილა არაშვილი ნახატი ზურაბ ზოხიშვილისა

ღელიკო პირველად ჩავიდა სოფელში. ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერს აკვირდება.

აუ, რამსისხო წვეთებია ბალახებზე და როგორ ბრჭყვილივინ! მერე და, რა კარგია ფეხშიშველა სირბილი ამ ახასხასებულ და დაცვარულ მოღზე! ამ დროს შუა ეზოში ძველ ქვევრზე მამალი შემოჯდა, ფრთები მძლავრად ააფართხუნა და ისე დაიცივლა, გოგონას კინაღამ გული გაუსკდა.

მშუუ...—მოესმა უფერად. ეზოს განაპირას გრძელი თოკით დაბმული ბოჩოლა საბრალოდ ზემოდა.

ღელიკო ბოჩოლას გაუბედავად მიუახლოვდა. ბოჩოლა მას ლამაზი, წყლიანი თვალვებით შეაეცქერდა. გოგონამ ჩაიშუნლა და თავი დაუქირა, მერე გულში ჩაიხუტა და მიუალერსა. ბოჩოლა გაინაბა და მხოლოდ ხანგამომშვებით თუ ამოიზმუვლებდა.

ოდის აივანზე დედა ვადმოღვა.

— ღელიკო, უი, მომიკვდეს თავი, ფეხშიშველა დადიხარ ამ უთენია? ამოდი ახლავე!

— დედიკო, რატომ ტირის ბოჩოლა?

— ტირის?!—დედამ გაოცებით შეხედა ღელიკოს, მერე გაიღიმა...—ჰო... დედას ეძახის, შეილო, დედა ენატრება.

— მერე, სად არის მისი დედიკო? რატომ არ მოდის?

— არ ესმის, დედა გენაცვალოს. აქედან შორსაა, საძოვარზე. ფეხზე ჩაიცივი, გაცივდება.

ღელიკომ მორჩილად ჩაიცვა ფეხსაცმელი, მერე ლობის ძირში მიგდებულ წვებლას დასწვდა და ჰიშკრისაკენ წავიდა.

— სად მიდიხარ, შეილო?

— ბოჩოლას დედა უნდა მოვუყვანო!

მთარა ჯიშაკიანი



მოდო ჩემთან, ჩემო ნანა,
უთიამაშოთ კენტობანა.

ეს კენტები გასულ კვირას
ჩვენ მოვიყვანეთ დედის ზირას;

რა კარგია, რა კარგია,
რომ არც ერთი დამკარგვია.

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
დამაფიწუნდა დავილა განა?
მოდო, აქვე ჩამოვსდეთ და
უთიამაშოთ კენტობანა.



ლაზქობა

მინათინ კიჩიკაძე

წითლად დვიოდა ცისკარი,
დარს კარგი პირი უჩანდა.
ხელთ მოვიმარჯვეთ ხის ჯოხი,
მხარზე მოვიგდეთ ზურგჩანთა.

კახეთის ციხე-კოშკები
შემოვიარეთ ფეხდაფეხ.
ვესტუმრეთ განთქმულ ალაზანს,
გაშლილ ზვრებსა და ვენახებს.

ნახატები ზურაბ მამბაკიანი



Mateřidouška

ბავშვებო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან თქვენი მეგობარი გოგონები და ბიჭუნები გულითად სალამს გითვლიან და გისურვებენ სიხარულსა და ბედნიერებას!

ისევე, როგორც საქართველოში, ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაშიც გამოდის საბავშვო ჟურნალი. მას «მატერჟიდოუშკა» («ქონდარა») ჰქვია. ჟურნალის უოველ ახალ ნომერს იხინიც, თქვენსავით მოუთმენლად ელიან.

ჩვენმა რედაქციებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს დაუმეგობრდნენ. ამ ნომერში ნორჩ მკითხველებს ვთავაზობთ ჩეხოსლოვაკიის საბავშვო მწერლები ლექსებსა და მოთხრობებს. ამავე დროს ჟურნალ «დილის» ფურცლებზე გამოქვეყნებულ ქართულ ნაწარმოებებს უახლოეს ნომერში დაბეჭდავს ჟურნალი «მატერჟიდოუშკა».

მოთხრობა, ნარკვევი და ზღაპრები თარგმნა ქალწილმა პოეტმა პოლკა ბიჩკოვსკაძემ.

ფოსტალონი სოჭოჭა

იან რისკა

ნახატები იოსებ კალიჩინსა

ბატონი სობოტკა სამაგალითო ფოსტალონი იყო. დაატარებდა წერილებს, ბაბუებსა და ბებიებს პენსიას ურიგებდა, ბავშვებს კი — ჟურნალ «მატერჟიდოუშკას». არც გაზეთებსა და საფოსტო ბარათებს ივიწყებდა.

ბატონი სობოტკა ფოსტას მუდამ თავის დროზე აბარებდა. სტრატეგიულ უბანში მუშაობა ისე იოლი არ იყო, როგორც პრაღაში. პრაღაში ყოველ მობინადრეს თავისი საფოსტო ყუთი აქვს. ფოსტალონი სახლის მთელ ფოსტას ერთბაშად ანაწილებს. სტრატეგიაში კი



ბატონ სობოტკას ყოველდღე უნდა დაეველო მთავორაკიან ფერდობზე შეფენილი ბატარა-პატარა სახლები, აყვებული ძაღლებიც უნდა მოეგერიებინა. და მერე როგორი ავები იყვენენ, პირდაპირ ფეხებში უვარდებოდნენ. სწორედ ამიტომ ბატონი სობოტკა მაღალყელიან წალებს ატარებდა. არც წვიმისა ეშინოდა და არც თოვლისა.

აი, ერთხელ ბატონ სობოტკას რა შეემთხვა: დილით მატარებელს დახვდა და ფოსტა ჩაიბარა. ფოსტაში რომ მიიტანა, გადაარჩია და გაოცებული შეჩერდა. წერი-



მაგრამ არ გადაყარა. როგორ, განა ბატონი სობოტკა ყვავილებს გადაყრიდა? ისევ დაუწყო მისამართს ძებნა.

ცელოფანში სამი სისხლივით წითელი ვარდი იყო, მათ შორის კი ტულიები მობუზულიყო. ეს ყვავილი არც წითელი იყო და არც თეთრი, თითქოს ამ სამ ვარდს მიტმანსებოდა. ბატონი სობოტკა ყვავილებს ჩაფიქრებული დასცქეროდა. ამ დროს საფოსტო ტელეფონმა დარეკა. მან ყურმილი აიღო და ჩასძახა:

«წითელი ვარდები, ტულიები... მივხვდი!» — ბატონმა სობოტკამ ყურმილი დადო და ისე გადაიხარხარა, რომ ფოსტის გამგეს ლენტი გაუწყდა.

ბატონი სობოტკა უქულოდ და უწამოსასხამოდ გავარდა გარეთ. პირდაპირ ტულიების ქუჩისაკენ გაეშურა, სადაც ცხოვრობდა ქალიშვილი სახელად — რუჟა და გვარად ჩერვენე (რაც ქართულად წითელ ვარდს ნიშნავს). რუჟე ჩერვენე ფანჯარასთან იდგა, მისი დაბადების დღე იყო და ამხანაგების მილოცვას ელოდა. ფოსტალიონი რომ დაინახა, სიხარულისაგან ვარდივით გაწითლდა. ვარდები ჩამოართვა, დაყნოსა, ტულიები კი ბატონ სობოტკას გაუწოდა.

ბატონმა სობოტკამ ტულიები ლილიკლოში გაიყარა და მთელი დღე ასე დადიოდა. როცა შემოვლა დაამთავრა, ტულიები თავის ქალაღლებს დაურთო, ნიშნად იმისა, რომ წითელი ვარდები ტულიების ქუჩაზე რუჟე ჩერვენეს ნამდვილად ჩააბარა.



ლებში ცელოფანში შეხვეული ყვავილები დანახა, წარწერით: «ჩაბარდეს სასწრაფოდ». ეს იყო და ეს. მისამართი სადღაა! — ჯავრობდა ბატონი სობოტკა. ყვავილებს ხელში ატრიალებდა, იქნებ მისამართი ასძვრაო და ძებნა დაუწყო. მაგრამ მისამართი ვერ იპოვა. «სად ჯანდაბაშია!» — ბუზღუნებდა ბატონი სობოტკა. «ამას ახლავე გადაგყრი!»

იკლი სპოპოლა

ვაღებკაუში

მარჯვეა და სწრაფი
ძია ტელეგრაფი.

აკაეშირებს ქალაქებს,
მავთულს ალაპარაკებს,
სამშაბათს და ოთხშაბათს,
ხუთშაბათს და პარასკევს.

ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა...
ფოსტა ალაპარაკდა.

ამა და ამ ეზოში,
ცისფერ სადარბაზოსთან,
სადაც ჩვენი მეზობლის
დიდი ძაღლი ბრაზობდა,
სადაც იდგა ძველი ეტლი,
ძველმანებით მდიდარი,
დინახა ძია პეტრემ
კატის ხუთი ცინდალი.

ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა...
ფოსტა ალაპარაკდა.

აღმათ გახსოვთ ლეკვი ჯილდა,
უყვარს ხტუნვა და ალერსი,
ამას წინათ ჯაჭვის ხილთან
გაეჩხირა ძვალი ყველში.
მალე მოვასულიერეთ,
შევიყვანეთ აფთიაქში,
არ იშორებს წითელ ბერეტს,
შინ წაეიყვანთ აღმათ ტაქსით.

ტა-ტა-ტა, ტა-ტა-ტა...
ფოსტა ალაპარაკდა.

ლაპარაკობს ისევ ფოსტა:
— გეხვეწებით, უხმეთ ოსტატს.
ზოოპარკში ყველა სწუხს,
ჩანთა მოსძვრა კენგურუს...

მარჯვეა და სწრაფი
ძია ტელეგრაფი.



რა სჯობს?

რა სჯობს ნეტავ?
ვისაც ვსმის,
როგორ მღერის წყალში თევზი;

თუ ის არის უკეთესი,
ბავშვობიდან ვისაც ვსმის,
როგორ სუნთქავს ტყეში წიწვი
და გუგუნის დედამიწის...

თუ ვარსკვლავი მაღლა ცაში
მოკრძალებით და კაშკაშით
ფეხისწვერზე როგორ დადის,
სანამ მოვა განთიადი...



ნახატები შიჩაქო კანაქისა

იზიზვილოს ზოგჯერ ვისომ!

თქვენ გგონიათ, საწყალ თავებს
მხოლოდ კატა აჩანაგებს?

მოეცალღეთ!
თავი გარბის.
დაეწევა მალე ზღარბი.

„არვის ვეღლაბუცებო,
მიბუბუყებს მუცელიო!

დარდი არ მაქვს არაფრისო,
იზიზვილოს ზოგჯერ ფისომ!“

ბაბუნჯეა

მზე რომ გაშლის ოქროს თითებს,
მთელი ღღე რა გახითხითებს?


— რა და, ვინც კი შრომობს ვეღაღ.
ფუტკარი თუ ჭიანჭველა;

ან ბოლოში და ან თავში
დამაცოცავს ფაციფუცით,
მილიტინებს ხან უღლვაშით,
ხან ფეხებით და ხან მუცლით.

ცხრათვალა მზეც უკან მომდევს,
მითათუნებს ჭარი თითებს

და დილიდან საღამომდე
აღბათ ეს თუ მახითხითებს!





დოლი



ამაღამიამ



ტიმპანე




უფშუბი



აკორდიონი



საყვირი



ვალტორნა

კლარინეტი

მუსიკა სიხარულია



ტრამ-ბამ-ბამ, — ბუმ-ბუმ-ძინ! — უკრავს სასულე ორკესტრი. ისმის ჩასაბერი საკრავების ხმა, ქლრტულუბს კლარნეტი, ბუბუნებს დაფი, ქლრიალებენ თეფშები და საცეკვოდ გვიწევენ.

მუსიკა სიხარულია. დიდი ხნის წინათ, როცა გიტარა, როიალი და საქსოფონი არ იყო, ადამიანს რაც მოხვდებოდა ხელში, იმას აჩხარუნებდა, აქლარუნებდა და აჭყვიტინებდა. მუსიკა შემსრულებელსაც და მსმენელსაც სიხარულს ანიჭებს. ამიტომ ქმნიდა ხალხი მუსიკალურ ინსტრუმენტებს: სასულე, ხემიან, სიმებიან და დასარტყმელ საკრავებს. ამიტომ ვსწავლობთ ბატარაობიდანვე ნოტებსა და დაკვრას. საამოვნებოთ ვუსმენთ მუსიკალურ გადმოცემებს, ფირფიტებს, მაგნიტოფონს, ვზივართ საკონცერტო დარბაზებში. უმუსიკოდ ჩვენი ცხოვრება უხალისო იქნებოდა.

აბა, მოუსმინეთ, რას უკრავენ? დიდდას არ მოსწონს და ამბობს: «გამოთიშეთ, ისევ ჯაზი უკრავსო». დიდდამ არ იცის, რომ ჯაზი მუსიკაა, რომელსაც ამერიკა-



ში ზანგები უკრავდნენ. მათ არ ჰქონდათ ნოტები და მელოდიებს დაკვრის დროს იგონებდნენ. არ იცის, რომ ნამდვილ ჯაზს დღეს მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი უკრავს, ჩვეულებრივ სიმღერებს და ტექებს კი მთელი ორკესტრი ასრულებს. როცა ხემიანი კვარტეტი კამერულ მუ-



სიკას გადმოგვცემს, ეს უკვე გასართობი კი არა. სერიოზული მუსიკაა.

მის მოსმენას ცოდნა უნდა. კომპოზიტორს მუსიკით სურს რაიმე მოგვიხსნოს, გაგვიზიაროს. მის ენას ერთნაირად ივებს ჩებოც და გერმანელიც, ინგლისელიც და რუსიც. კონცერტზე, როცა დიდი სიმფონიური ორკესტრი უკრავს, მრავალი ინსტრუმენტი მონაწილეობს და ყველა ერთმანეთთან შეხმატკბილებულია, რადგან კომპოზიტორის შექმნილი ნაწარმოები ღირიჭორმა და ორკესტრმა ერთად მოამზადეს. ასეთ დროს ყოველი ბგერა ისე ჟღერს, როგორც კომპოზიტორს ჰქონდა წარმოდგენილი.

ნუ იღუშებით, როცა ვიოლინოზე ან პიანინოზე დაკვრას გასწავლიან. იქნებ სახელგანთქმული მუსიკოსი სულაც არ გახდეთ, კონცერტებზე ორკესტრთან ერთად არ დაუკრათ, მაგრამ მუსიკის მოსმენას ხომ მაინც ისწავლით! მიხვდებით, თუ რა დიდი შრომა უნდა უზადო შესრულებას და სულ სხვანაირად ჩასწვდებით ყოველ ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს.

მიღონ კორეისი და ვიხვსლავ კოუხჰასი

მატეარი ჰერ შალგოვა



როიალი

არტო

ვიოლინო

კონტრაბასი

ბატონო კურდღელი

ზენაქ ალა

ნახატები ლუკა ჰიმარია

ერთხელ კურდღელმა ბებერი პანტის ძირში თავუნების სოროსთან მიიბრინა. გაბურძღვნილმა და შეშინებულმა მაინც გულდინჯად დაიწყო:

— გესმოდათ, როგორ ვუღრიალე? იმ უქნარამ როგორ გამაბრაზა! რომ გამახსენდებოდა, ახლაც კი ბრაზი მახრჩობს!

— განა ისეთი რა შეგემთხვათ, ბატონო კურდღელი? — გაუკვირდათ თავუნებს. — მთელი ღღე აქა ვართ და არაფერი გვსმენია.

— რა თავხელი და თავფასული ყოფილა! გაჯაღრებული კურდღელი არეული ნაბიჯით თავგებს გარს უღლიდა და მოღუშულ თვალებს მრისხანედ აბრიალებდა.

— მოგეცათ ღხენა! პირში ენა ჩაეგდებინე. ისეთი ღღე ვაყარე, სიკვდილამდე არ დავევიწყდები.

— ვინ იყო ის უზრდელი, ამდენი რომ გაგიბედათ, ბატონო კურდღელი? ავყია თრია იქნებოდა!

— თრია? — გაეცინა კურდღელს, — თრიას თავს როგორ გაუუყარებდი. უშველებელი ნაგაზი იყო და იცით, რა გამიბედა?

მაგრამ პატარა თავუნებს, აბა, საიდან ეცოდინებოდათ, რა გაუბედა კურდღელს გააფთრებულმა ნაგაზმა?

— მე ჩემთვის წყნარად ვიჯექი მინდორში და სტაფილოს შევექცეოდი. უცებ ქუხილივით იგრიალა...

— ნაგაზმა?

— დაახ! მიღრიალა, დაგღეჯე, დაგღრღნიო! მაგრამ ნურას უკაცრავად, იმას შევეუშინებოდი? დამშვიდებულმა ვუ-

თხარი: — შე უზრდელი და ყვეყნო, რას მიბედავ? მე აქ ჩემთვის ტკბილ სტაფილოს ვაზრამუნებ და რა გაღრიალებს-მეთქი. — ვუთხარი და თან ხმას ავუმაღლე, თუ არ გინდა ხიფათს გადაეყარო, — და ხმას კიდევ უფრო ავუწიე, — ახლავე აქედან დამეკარგე, არ გამაბრაზო, თორემ ისეთ ღღეს დაგაყრი, თეთრსა და შავს ვეღარ არჩევდე-მეთქი!

— მერე, ნაგაზმა რაო, რა მინდაო? — თავუნებმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, მაგრამ კურდღელს ეს არ შეუმჩნევია.

— რა და, მიხვდა, რომ შეტისმეტრი მოუვიდა, მომიბოდიშა: არ ვიციოდი.



ვისთან მქონდა საქმე! თუ არ იცი, ვისთან გაქვს საქმე, მაშინ მე გაჩვენებ ვინცა ვარ-მეთქი და შეგეძახებ:—თავხელი აქვე დაისჯება! ახლავე ამომითხარე ორმოცდაათი სტაფილო და ჩემს სახლში წაიღე! აბა, სწრაფად იმუშავე, თორე ისეთ დღეს დაგაყრი, პატრონმაც კი ვერ გიცნოს-მეთქი.

— მერე, მერე, დაიწყო მუშაობა ნაგაზმა?

— ჰმ, მერე და როგორ! ჯერ ურჩობდა: ასეთ ბომბორა ძაღლს სტაფილოს თხრა არ შემეფერება. სტაფილოს სუნსაც კი ვერ ვიტანო.

ამ ლაპარაკმა ხომ უფრო მეტად გამახელა.

— რაო, რაო? სტაფილოს ცუდი სუნი აქვს?! მაშ, სტაფილო არ გიყვარს?—ღვეურიალე ჩემებურად—მაშ, სტაფილოს ჰამას მე გასწავლი. თუ ასეა, მარტო სტაფილოს ამოთხრას არ გაკმარებ, შეგვაკმევე კიდევ! აბა, ერთი ჩემთვის გადადე. მეორე კი პირში ჩაიღე! ჩქარა, რას უღდახარ!

ძვირფასო თავუნებო, ლომივით დაღვეურიალე და ამან გასკრა კიდევ!

— შევქამა ნაგაზმა სტაფილო?—ჰკითხეს გაოცებულმა თავუნებმა.

— შესახვეწი რა მქონდა! რასაც ვუბრძანებდი, უნდა შეგსრულებინა კიდევ. ორმოცდაათი სტაფილო უნდა შეგქამა. ჰამდა და თან წკმუტუნებდა. ცოტა არ იყოს, შემებრაღა. მოკლედ დიდი მშობარა ვინმე ყოფილა.

— ბატონო კურდღელო, რა მკაცრი ბრძანდებით!—ძლივს გაუბედა ერთ-ერთმა თავუნამ,—ნუთუ ორმოცდაათი...

— არა, ორმოცდაათი სტაფილო არ ყოფილა. ასე, დაახლოებით იქნებოდა...

კურდღელი უფერად შეჩერდა, ყურებიც კვეტიტა, თავუნების სიროს მიუახლოვდა და მოიკუნტა.

—რა ამბავია?—გაუკვირდათ თავუნებს.

— ვერაფერი გაიგონეთ?—ჩურჩულით იკითხა კურდღელმა.—თითქოს რაღაცამ გაიფაჩუნა!



— ბატონო კურდღელო, ხომ არ მოგჩვენათ, აბა, აქურობა დაათვალიერეთ.

— ჩუ, აი, კიდევ!—ჩურჩულივდა კურდღელი და შეშინებული თავებს ფვარებოდა.—რაღაც შრიალი მომესმა.

— მართლმ? აბა, მიათვალიერ-მოათვალიერეთ, იქნებ რამე შეამჩნიოთ!—უთხრეს თავუნებმა.

— იცით რა, თავუნებო, სჯობია თქვენ წახვიდეთ. მე დიდი ვარ, ადვილად შეამჩნევენ, თქვენ კი ვერავინ დაგინახავთ!—თავუნებმა ერთმანეთს გადახედეს. ერთი მინდორში გაიქცა კიდევ დასაზერად, მაგრამ სავეო ვერაფერი დაინახა.

— ნურაფრის გეშინიათ, ბატონო კურდღელო, ხიდან ორი პანტა მსხალი ჩამოვარდნილა, ეგ არის და ეგ.

— ჩემთან შიშს რა უნდა,—კვლავ ტრაბახობდა კურდღელი.—ეს სულ იმიტომ მემართება, იმ ყვესჩმა ნაგაზმა რომ გამაჯავრა!



პანენი სვიმს გააგომჭი

სვიმს ღიღია და ჭკვიანი

ნანა დოსთოიჩიკოვა ნახატი იოლანდა ლისოვასი

სწილო ღიღია და ჭკვიანი, თუძცა თავისაჲც კი ეშინია და ვერასოდეს ცხოველების მეფე ვერ გახდება. რატომ?
ღიღი სწილოები ამასჲე სმასაჲც არ იღებენ, მაგრამ შეეკითხეთ ზატარა სწილოს და ის გატყუვით.

სწილო რომ დაიბადება, მაშინვე ამას ეტყუიან:

— სწილო ხარ და ღიღი იქნებიო. უძღროსებს არ წაეჩუბო, ღიღი სირცხვილიაო.

კიდევ იმასაჲც ეტყუიან:

— სწილო ხარ და ჭკვიანი იქნები, მაგრამ არასოდეს შეუობა არ ინდობოა. შეფეს შეუობის გამო არაფრისთვის სცაღლია და ზოგიერთს ესეცა შურსო.

სწილო სორთუმს გააქან-გამოაქანებს, თითქოს ამით ამბობს, ვეღლაფერს მივსუდიო. თავუნამ კუდიც რომ გაჭკრას, სწილო გაქცევას არჩევს. რადგან ასეთ ზატარა თავუნასთან ჩხუბი სწილოს რცხეენია. სამეფო გვირგვინსაჲც უთმობს იმ ზატარა ცხოველებს, რომლებიც გვირგვინს ეტანებიან. თუითონ კი ეურებს ანარტუენებს და ჩაფიქრებული მიდი-მოდის.

Mateřidouška

ჯაფხური

მადონა ლუბანოძე

რაჭაში მცირე ქოხია,
 ლებანიქედის ბოლოს,
 მესამე თევა იმ ქოხში
 ჩემი ფიქრია ცხოვრობს.
 თენდება. ქონდრისკაცებად
 მოჩანს სარკმელში ძნები,
 შეთვალებული ქლიაევი,
 ქლიავისფერი მთები...
 ვხედავ, წამოხტა ფიქრია,
 ბებომ მიართვა კაბა,
 გოგო პირს იბანს საჩქაროდ,
 თმა გადივარცხნა სწრაფად.
 ... წვრილ-წვრილი ნაკადულები
 სამაყვლე სერზე ჩქეფენ.
 მაყვალს ბებო და ფიქრია
 ასიცხებამდე კრეფენ.
 დაბლა თოხნური გუგუნებს,
 მზე ეპარება ზეგნებს,
 ფიქრო დროდარო ბუზღუნებს,
 თითიდან იძრობს ეკლებს...
 ხოლო საღამოს ტოლებში
 დგას და დაღლილი ჰყვება:
 „დღეს თითო ფუთი მოეკრიფეთ,
 დედა ნუ მომიკვდება!..“
 შინ კი... მესამე დღე არის,
 ბებო ქალებში არ ჩანს,
 ქვას ჩაჰკირკიტებს, ცეცხლს ანთებს,
 შაქარს წონის და ხარჯავს:
 თბილისში წამოსალებად
 მაყვლის მურაბას ხარშავს.

ნახატები ივრი ქლიბანისა





ზარეკაობა

მიოჩი შიხაური

გვხალისებს ხმლების ქნევა
და ფარების ჯახაჯუხი,
ხან მე განზე გაფუხტები,
ხან ეცემა ჯურხა მუხლით.

გამიხელდა ჯურხა-ბიჭი;
დატრიალდა, როგორც ჯარა,
ვფარიკაობთ ვაჟკაცურად,
არა ვზოგავთ მკლავის ძალას.

მერი ბოლქვაძე

ბურთის ძეხნა

მალხაზი ოთახში თავ-პირის მტკრევით შე-
მოვარდა და მაშინვე ტახტქვეშ შექერა:
მაია მორბის, ვიცი, ბურთს აქაც დაუწყებს
ძებნას, მე კიდევ შევაშინებო.

ერთი წუთის შემდეგ მაიამ მართლა მოირ-
ბინა, ოღონდ ტახტქვეშ კი არ შემძერა-
ლა, როგორც მალხაზს ეგონა, აიღო ბე-
ბოს გრძელი ჯოხი, შეჰყო ტახტქვეშ
და მაგრად მოიქნია. იფიქრა, თუ სადმე
ბურთი ავღია, ჯოხს გამოჰყვებო. მოქნეუ-
ლი ჯოხი კი ბურთის მაგივრად მალხაზს

მოხვდა და ააყვირა: «ვაი, ვაი, დედაო!»

მაიამ ტახტქვეშ შეიხედა, სიბნელეში
ძლივს დაინახა მალხაზი.

— ბიჭო, მალხაზ, მანდ რა გინდა, რას
აკეთებ?— ჰკითხა გაკვირვებულმა.

მტკერში ამოგანგულული, გაჯოხილი მალ-
ხაზი ძლივს გამოძვრა და ბულუნით თქვა:

— მეც ბურთს ვეძებდი!

აბა, ბიჭი იყო და ეთქვა, შენს შესაშინ-
ებლად შევძვირო?!

ჰაქიზლი

მორის უმთხიველი

ფიცარნაგ სე თავმოძრონედ
 აცუნცულდა წრუწუნა,
 შელა-მსაჯმა კუდი დაჭკრა,
 დარბაზს დაუწრუწუნა.

იწურება წრუწუნა,
 ძლივს მოითქვა სული, —
 ბუბუღლივით ასწია
 ორი თხილის გული.

გამოვიდა ზღარბი და
 გაებერა ფაშვი, —
 ცალი ფეხით აზიდა
 ორი დიდი ვაძლი.

აბუსღუნდა დათუნა,
 მერე ზმორებ-ზმორებთ
 ჭიმა, ჭიმა, აჭიმა
 მუხის დიდი მორები.

ბოლოს გამოწიწინდა
 ჭიანჭველა ზაწია,
 რასაც თვითონ იწინის,
 ცხრავჯერ მარტი ასწია.

ნახატები ივრი პლინბაძისა



10.367

საქართველოს
 ბავშვთა ლიტერატურის
 ცენტრი



მოიჯა უნაოს

ჭაბუა ამირაჯიბი

ა რ ა კ ი

ნახატები ლიმიზირი ზარაფნივილისა

გლეხმა ბომბორა ქოფაკი მოიყვანა, სახლს და კარ-მიდამოს მიუჩინა, ფიზოლად იყავი, აქაურობა შენთვის ჩამიბარებიაო. აივნის ქვეშ ცხვრის ტყავი დაუფლო, იმ ცხვრის ტყავზე დააბინავა. ბომბორა ამტანი, უშიშარი და დინჯი იყვინც ამტანი, უშიშარი და დინჯია, ის უშეკველად მოკრძალებული და თავაზიანიც არის.

ჩახან ბომბორას ლმობიერი ხასიათი დაინახეს, შინაური ცხოველები თანდათან გაუთამამდნენ. ერთ დღიას ბომბორა ეწოდან ვავიდა, მიდამო მიყვნოს-მოყვნოსო, ღამით ნადირმა ხომ არ მოხედაო.

როცა დაბრუნდა, ცხვრის ტყავზე მოკალათებული გრძელდინჯიანი ღორი და გოკები ნახა. ღორმა ქვევიდან ამოხედა, მუქარის კილოზე დაიღრტუნა. ბომბორა ვერაფერს მიუხვდა, გაბარუნდა, შორიხლოს წამოწვა. თავი თათებზე დდო და იმის ფიქრს მოჰყვა, საბრალო ღრუტუნს, ნეტავი რა გაუქირდა, რომ ჩემს ლოგინზე დაწოლა უნებებიაო.

ღორმა ძაღლს აბუნად გადახედა და გოკებს დაუღრტუნა, ხედავთ, ეს ბომბორა ქოფაკი როგორი ადვილი შესასწინებელი ყოფილაო!

ღორი იყო და სხვას რას იტყოდა. იქვე ინდაური ჭუკებს ნაბოსტნარში ქექვას ასწავლიდა. ყველაფერი დაინახა. იფიქრა, ტურტლიანმა დედა ღორმა ამ ვიემა ქოფაკს თუ ასეთი შიში აქამა, მე რა ღორზე ნაკლები ქალი ვყოფილვარო!

ჭუკები ბომბორასთან მიიყვანა. ქექვა-ქექვით შემოეფიგენენ, ვითომდა აქ არც არავინა წევს და ვერც ვერავისა ვხედავთო.

ბომბორას თავის საფიქრალი ჰქონდა, ჭუკებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ინდაურმა დაინახა, ბომბორა კრინტს არა სძრავსო; წამოიწია, გაიფხორა და ბრავნიანად დაიკულტულა, ადე, გაგვეცაღე, ხომ ხედავ, გვიშლიო!

ბომბორას გაუკვირდა. წამოდგა, გაიზმორა, ათიოდე ნაბიჯი გაიარა. დაწვა, თავი თათებზე დადო და იმის ფიქრს მოჰყვა, ამ ყოყლორინა ინდაურს ჩემს ნაწოლზე რა ისეთი საგანგებო საკენკი უნდა ეგულეზოდეს, რომ ასე უდიერად წამომავდო!

ინდაურმა ბომბორას ამბარტავნად გადახედა და ჭუკებს დაუკულტულა: ამ ვიემა ქოფაკს კულ მეც ხომ ამოვამუებინე. აჰა, თუ ღორზე ნაკლები ქალი ვყოფილვარო!

ინდაური იყო და სხვას რას იტყოდა.

კრუმმა თქვა, მეც მნახეთ, როგორი დედაკაცი ვარო! წიწილები ბომბორასთან კრიახ-კრიახით მილალა, აბა, შევლებო, ვესკუპდეთ, ამ ქვიციანი ძაღლის ბალანიც მივქექ-მოვჭექოთო. შეხატა





ქოფაკი დაფეთებული წამოვარდა, აკრუხებულა ქრუხ-წიწილს მუნძულთი გაეცალა. სახსროს წიწილს მხოხრხებული ადგილი იპოვა. წამოწვა, თავი თათებზე დადო და იმის ფიქრს მოჰყვა, საქმე რა თავებდებთან მქონიაო.

კრუხი თავის წიწილებში ტრიალებდა და კაკანით კვდებოდა: ამხელა ქოფაკი სულ გვერდულად ვაძუნძულე. აჰა, თუ ღორზე და ინდაურზე ნაკლები დედაკაცი ვყოფილვარო.

ქათამი იყო და სხვას რას იტყოდა. ბომბორამ იფიქრა, ამ თავგასულებს ჰკუთა თუ არ ვასწავლე, არაფრით არ შეიძლებაო; ღორს დააცხრა, ის გრძელი დინგი წააკვიტა. კრუხსა და ინდაურს გამოეკიდა. ვინ წინა და ვინ უკანა. კარ-მიდამო შეიღვერა შემოარბენინა. გული იჯერა, აივნის წინ წამოჯდა, ღონიჯი შემოიყარა და დაიყუდა, აღარაფერი გამიზბედლოთ, თორემ, ამაზე უარეს დღეს დაგაყენებთო!

დაზარალებულები განაწყენდნენ. პირი შექარხეს, პატრონთან იჩივლეს, ეს სისხლისმღვრელი ბომბორა მოგვაშორეო.

რათაო? მომჩინებმა საქმის ვითარება უამბეს. პატრონმა მიუგო, ბომბორას მოკრძალება და თავაზიანობა რომ სისუსტეში და უმწყობაში ჩამოართვით, უარესის ღირსიც უყოფილხართ, თქვე ბრიყვებო, თქვენაო!

ღორს უთხრა, შენ სასჯელად ისიც გეყოფა, რომ დინგი წაგაკვიტეს და ამას იქით პაქუთ ცხვირით უნდა იაროო. ინდაური და კრუხი ბაზარზე გაიყვანა და დაჰყიდა, თუ ამ წენიერ ბომბორასთან საერთო ენა ვერ გამოხახეთ, მგეტ თქვენაო!

ბომბორას კრუხი, მიჰყვენენ წიწილები. ზოგმა სამაია და უზუნდარა იცეკვა, ზოგმა ზორუმი და ხანჯლური დასცხო. კრუხი ფრთებით ტაშსა სცემდა და წიწილებს დაჰკანკალებდა: მიღით, შეილებო, იმხიარულეთ. ეს მძორი თუ განძრეულა, თვალებს სათითაოდ ამოგკორტნო!

ბომბორა განაბული იწვა და ფიქრობდა, ახი არ იქნება, წამოვხტე და ამათი ბუმბულის კორიანტელი დავაყენოო!

წამოხტებოდა კიდეც, მაგრამ წიწილები შეებრაღა, პატარები არიან, დაშინდებიან, გაიხარონ რა მენადვლებოა.

წიწილები ცეკვას მორჩნენ. კრუხმა თავის შვილებს მაგალითი მისცა და ბომბორას ქუჩქი თვალის დახამხამებაში მოისვარა.



6.33/142

76055

ნახტი-ხუმრობა პლ. ანგოქიძისა და
ნიკოლოზიძისა



მგეს ვუცინი მხიარული,
ზღვას ვსერავ და ზვირთზე მიჰქრის

ჩემი ორი თხილამური:
ღაქო—აქეთ, თართი—იქით.

შთავაზო რედაქტორი უანხუღ ჩადკვიანი.

ხარდაცულო კოლეგია: მ. შიშვიანი, (შთ. რედაქტორის მოადგილე) ქ. შოშიაშვილი, უ. ლოლა,
მავ. შაშიაშვილი, უ. ნინო, მ. ცხაღანი (სამხატვრო რედაქტორი), ნ. შულეშიანი, ა. შიშვილი

ხატარაველის ალკა ცენტრალურა კომიტეტისა და ვ. ა. დენინის სახელობის წირი პიუბლიკა ირვანიზაციის რედაქციური
საბჭოს ფუნალო

უღაზე ნახტი შალვა ხხაღანი

ტექნიკატორი მ. რიშიაშვილი

განოცვის მე-31-ე წელი, რედაქციის შერეულ მასალის ფეტირებს არ დებურდებო.

გამოქველობა: ნაბაღული, ვაზისუ, შავი, № 312, სტამბის წყა, № 1153, ტრაჟი 82.000, ჯღ. ზამი 80X90/4, ხელნაწერილი დისაბღღ 22IV-6/ წ.
ვარ-ღო დაბეჭდოლი ხატ-ტექნიკის პიუბლიკაციის პოლცენტრში ლენისტ, № 14, „მედიკა“ № 7 ნა გუვნიკის ვაჟს, თბილისი, პრეს. ქუჩისა № 91
რედაქციის ხისხაბი: მხოლო, პუბლიკის პრეს, № 81, ტელ. 5-87-88, 5-15-09.

შანი 29 კაა.